პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
7 აგვისტო
№ 182 (17527)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ვამრავლოთ საბჭოთა სპორტის დიდება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე! ჩვენ, სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეები, დიდად გაგვახარა თქვენმა მისალმებამ. მაღალ შეფასებას, რომელიც თქვენ მიეცით საბჭოთა ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობის მიღწევებსა და მის როლს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, მხურვალედ გამოეხმაურა მილიონობით ფიზიკულტურელი და სპორტსმენი.

მადლობას ვუძღვნით კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, მამობრივ ზრუნვას რომ არ აკლებთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას, რომლებიც საბჭოეთში მშრომელთა, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად გადაიქცა.

შრომაში სახელოვანი საქმეებისათვის, სპორტში ახალი მიღწევებისათვის აღგვაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ფიზიკური კულტურა და სპორტი მკვიდრდება ჩვენი ხალხის — ყველა ეროვნების, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ დღეს საბჭოთა ფიზიკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მონაწილეობს 100 მილიონზე მეტი კაცი, ყოველწლიურად 20 მილიონზე მეტი კაცი ამბარებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ კომპლექსის ნორმებს. იზრდება სპორტის ახალ ოსტატთა, სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონთა რიგები — იდეურად, ზნეობრივად და ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდობის რიგები, რომელიც მუდამ მზად არის შრომითი გმირობისათვის, ქვეყნად მშვიდობის დაცვისათვის.

საბჭოთა სპორტის წარმატებებისა და სპორტსმენთა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის განმტკიცებაში მისი როლი ახალი დადასტურება იყო სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა. მან პლანეტის ყველა კონტინენტის 84 ქვეყნის სპორტსმენებს შესაძლებლობა მისცა გასცნობოდნენ ოლიმპიურ მოსკოვს და დაემყარებინათ ახალი მეგობრული კონტაქტები.

ყველა საბჭოთა ფიზიკულტურელისა და სპორტსმენის სახელით სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილენი აღუთქვამენ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, რომ თითოეული ჩვენგანი არ დაიშურებს ძალ-ღონეს, რათა ამრავლოს საბჭოთა სპორტის დიდება და პირნათლად გაატაროს ჩვენი სამშობლოს დროშა XXII ოლიმპიადის ასპარეზობაზე.

არა არის რა იმაზე უფრო ამაღელვებელი მიზანი, ვიდრე ის რომ თავდადებით ემსახურებოდე სამშობლოს, პარტიას, ხალხს, კომუნიზმის აშენების საქმეს.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მსოფლიოს სპორტულ ასპარეზზე მუდამ იმარჯვებდეს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის, მშვიდობისა და კეთილი ნების ოლიმპიური იდეალები.

გულითადი მადლობა, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, სპარტაკიადის—საბჭოთა სპორტის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის მონაწილეებისადმი კეთილი სურვილებისათვის.

მილეულია მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების კრებებზე

ახალი გამარჯვებები მოგველის!

საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა

თბილისი. ერთ თვეს მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ვილნიუსის, კიევის სტადიონებზე, საუკეთესო სპორტულ დარბაზებსა და აუზებში, ტალინის ყურის აკვატორიაში გრძელდებოდა ჩვენი ფიზიკულტურული მოძრაობის საყოველთაო-სახალხო დათვალიერება — სსრ კავშირის ხალხთა მე-7 საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა. ეს იყო საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის, ძალისა და ახალგაზრდობის დღესასწაული, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სპორტულ მიღწევათა დემონსტრაცია.

სპარტაკიადის პროგრამა აღემატებოდა ოლიმპიურ ასპარეზობებს — შეჯიბრების მონაწილენი ძალებს სცდიდნენ სპორტის 30 სახეობაში. პირველად სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთელი სპორტსმენები. ყველა კონტინენტის 84 ქვეყნის წარმომადგენლები საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად იბრძოდნენ მისი ჯილდოებისათვის. ოვაციით შეხვდნენ ჩვენი გულშემატკივრები შესანიშნავ ეთიოპიელ სტაიერს მირეუს ეფტერს, რომელმაც ჩემპიონის ორი მედალი მოიპოვა — 5 და 10 კილომეტრ დისტანციებზე, ავსტრალიელ სპორტსმენ ქალს მიშელ ფორდს, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა თავისუფალი სტილითა და ბატერფლაით ცურაში.

ჩეხოსლოვაკელმა და ფრანგუჰრთელებმა, ბულგარელმა ძალოსნებმა, რუმინელმა ნიჩბოსნებმა, იაპონელმა ძიუდოისტებმა, ამერიკელმა მძლეოსნებმა — ყველა საზღვარგარეთელმა სტუმარმა შეიგნო საბჭოთა სპორტის მოყვარულების გულითადობა, მხარდაჭერა, ობიექტურობა.

5 აგვისტოს ლუჟნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ დაიხურა სპარტაკიადა.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

სსრ კავშირის ხალხთა მე-7 საზაფხულო სპარტაკიადის გახსნის დღეს მის მონაწილეებსა და სტუმრებს გულითადად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ყველა ნაკრებ გუნდში გაიმართა

(დასასრული მე-4 გვ.).

მოსკოვი. სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის დახურვა. სურათზე: „ოლიმპიადა-80-ზე შეხვედრამდე!“

საკადრ.-საკონფ. ფოტო.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების შემდგომ განმტკიცებასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები განიხილა 3 აგვისტოს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულმა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, ა. პ. კირილენკოს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.

სესიამ განიხილა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონპროექტის საკითხი.

მომხსენებელმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. ს. სოლომენცევმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ამ პროექტში განსაზღვრულია რუსეთის ფედერაციის მთავრობის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს, სამართლებრივი სტატუსი.

ახალი კანონი, აღნიშნეს ორატორებმა, ხელს შეუწყობს მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. მისი მეშვეობით მოქალაქეებს უფრო ფართოდ ჩაებამენ მუშაობაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვისათვის.

რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონპროექტის განხილვისას ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ დოკუმენტში გატარებულია მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების შემდგომი გაფართოებისა და ამ უფლებათა გარანტიების გაძლიერების ხაზი. კანონპროექტში თავმოყრილია ყველა ნორმა, რომლებიც არეგულირებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას, გათვალისწინებულია საარჩევნო კომისიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება ამ მნიშვნელოვან კამპანიაში.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ და კანონი რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. დამტკიცეს აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი. (საკდესი).

მესამე კვარტალის შუა თვეა, როგორ გვაძვს საქმე?

სრულყოთ მუშაობის ხარისხი!

ქალაქად, სოფლად

ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში“ ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრების სათავეში უდგას ზეინკლთა ბრიგადა, რომელსაც ხ. ჯიოევი ჭელმძღვანელობს. ამ მეგობრული კოლექტივის წევრია კომუნისტი კაზბეკ ხარებოვი. საწარმოში მუშაობის ხუთი წლის მანძილზე იგი სრულყოფილად დაეუფლა პროფესიას და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.

სურათზე: საუკეთესო ამწყობი ზეინკალი, კომუნისტი კაზბეკ ხარებოვი.

ეკონომიკის მართვა დიდ ხელოვნებას მოითხოვს. რთული სამეურნეო კავშირი და ეკონომიკის გრანდიოზული მასშტაბი, დარგობრივი და ტერიტორიული, მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების შეხამება, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების, რესურსებისა და ეფექტის წინასწარი ვარაუდი, საშინაო თუ საგარეო სპეციფიკური პირობების გათვალისწინება — აი არასრული წრე იმ საკითხებისა, რომლებიც სამეურნეო მექანიზმმა უნდა მოიცვას და ერთი მიზნისკენ — საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ წარმართოს. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი შესაძლებელია მხოლოდ უკვე შექმნილი მძლავრი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, რაც შეიძლება უკეთ გამოყენებით, წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავებითა და განვითარებით.

დღევანდელ სამეურნეო ვითარებას, მისი სრულყოფის ამოცანებს, ალბათ, ყველაზე მეტად მიესადაგება დიდი ლენინის სიტყვები, რომ „ყოველგვარ სხვა განსგარიშებაზე მაღლა ჩვენ უნდა დავაყენოთ ერთი რამ: ნამდვილად სანიმუშო ხარისხის ინტერესი“.

ნამდვილად სანიმუშო ხარისხისადმი სწრაფვის კიდევ ერთი მჭეარმეტყველური მაგალითია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. ეს დოკუმენტი ლოგიკური გაგრძელებაა პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობისა, გამომდინარეობს ახალი კონსტიტუციის მოთხოვნებიდან, წარმოადგენს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის უნარიანი წარმართვისათვის ზრუნვის ნიმუშს.

იმასაც შევნიშნავთ, რომ ეს არ არის რაიმე ლოკალური ღონისძიება, მეურნეობის მხოლოდ ამა თუ იმ ერთეული პრობლემის გადაჭრის ცდა.

მეურნეობის წარმართვის მექანიზმის ისეთი მასშტაბური ცვლილება, რომელსაც ახალი დადგენილება ითვალისწინებს, სწორედ ახლა, მეთერთმეტე ხუთწლედის დაწყებამდე უნდა დასახულიყო. შესაბამის ორგანოებს, საწარმოებსა თუ დაწესებულებებს ხომ გარკვეული დრო სჭირდებათ მუშაობის ახალი წესის გააზრებისათვის, სათანადო ინსტრუქციული თუ მეთოდიკური მასალების კონკრეტულ პირობებთან მისადაგებისათვის.

მოქმედი სამეურნეო მექანიზმი, ეჭვგარეშეა, სრულყოფას მოითხოვდა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ეფექტიანობის ყველაზე განმზოგადებელი მაჩვენებლები კი უმჯობესდება, მაგრამ ამ გაუმჯობესების ტემპი აღარ არის საკმარისი მიმდინარე ხუთწლედის იმგვარად დასრულებისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა უკვე მეთერთმეტე ხუთწლედში თვისებრივად ახალ დონეზე ავიდეს.

დადგენილებაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებანი სამ განყოფილებად ჯგუფდება.

დადგგმვის ნაწილში აქცენტი გადატანილია მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების, დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიული ჭრილის, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შეთავსების, დარგთაშორის და დარგსშიდა პროპორციების სრულყოფაზე. დახასიათებულია გეგმის შედგენის, დაბალანსების, მუშაობის ხარისხის შეფასების ახალი კრიტერიუმები.

დადგენილების შესაბამისად ამიერიდან მეურნეობრივობის ყველა დონეზე შემოიღებენ საგეგმო მაჩვენებელთა ახალ სისტემას. ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითოეული საწარმოს მუშაობა შეფასდება არა „მთლიანი პროდუქციით“, არამედ „კოლექტივის კონკრეტული წვლილით— წმინდა პროდუქციის ზრდით, მომხმარებელთა კონკრეტული შეკვეთების შესრულებით. ასეთი პირობებში (როცა აშკარად იმიჯნება და იზომება თითოეულის წვლილი), ცხადია, გაიზრდება თითოეულის პასუხისმგებლობაც, ეს უკანასკნელი კი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების უცილობელი პირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერდება პერსპექტიული გეგმების როლი, ხუთწლიანი გეგმა მაინც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტად, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის, მთელი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის ძირითად ფორმად რჩება.

საგანგებო ყურადღების ცენტრშია მოქცეული გეგმების სტაბილურობის, გრძელვადიანი ნორმატივების შემოღების საკითხი. დადგენილებით გათვალისწინებულია 1980 წელს ძირითადად დამთავრდეს საწარმოთა გადაყვანა პირდაპირ ხანგრძლივ სამეურნეო ურთიერთობაზე. რაც მთავარია, პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობის დროს მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) შორის, აგრეთვე მომარაგების, სატრანსპორტო ორგანოებსა და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის ამიერიდან ხელშეკრულებანი ხუთი წლის ვადით დადება. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ ღონისძიების განხორციელებას.

დადგენილებაში წარმოდგენილია ღონისძიებათა იმგვარი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას, ძალებისა და სახსრების იმგვარად კონცენტრაციას, რომ დაჩქარდეს ობიექტების ჩაბარების ვადები, შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობები, გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი.

დადგენილების მესამე განყოფილება სამეურნეო ანგარიშისა და სტიმულირების მექანიზმის გაუმჯობესებას ეხება.

დასამალი არ არის, რომ მოქმედი სტიმულირების მექანიზმი ყოველთვის და ყველგან წარმატებით როდი წყვეტს უმთავრეს ამოცანას — შეახამოს, ამასთან ჰარმონიულად შეახამოს, მუშაკის, საწარმოო კოლექტივისა და მთელი საზოგადოების ინტერესები. აი ამ ინტერესების შეხამებისათვის არის გამიზნული დადგენილების ის პუნქტები, რომლებიც ეხება ხანგრძლივი გაძლიერებული ეკონომიკური ნორმატივების დაწესებას, სტიმულირების ფონდების ზრდას (განსაკუთრებით შემხვედრი გეგმების აღებისათვის, ხარისხსინშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის ამაღლებისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის), წახალისების სახსრების მიზნობრივ გამოყენებას. გაძლიერებული ნორმატივები დაწესდება ხუთწლიან გეგმასთან შედარებით გაზრდილ საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

დადგენილებაში საგანგებო ყურადღება ეთმობა შრომის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვას და ამისათვის მუშაკთა წახალისების გაძლიერებას. სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა სტიმულირების ბრიგადული ფორმის განვითარებისათვის, რადგან მეთერთმეტე ხუთწლედში წახალისების სწორედ ეს ფორმა იქნება განმსაზღვრელი. აღნიშნულია აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგებში თითოეულის წვლილის სწორ შეფასებას, ეკონომიკური სანქციების უკეთ გამოყენებას და სხვ.

რა თქმა უნდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება მხოლოდ პირველი ნაბიჯია ახალ გარდაქმნათა გზაზე. იგი დაკონკრეტდება, დაზუსტდება თითოეული რეგიონის, სამინისტროს, საწარმოს თუ ორგანიზაციის მასშტაბით, მისი ძირითადი ელემენტები ძალაში შევა უკვე მომავალი წლიდან.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს რთული, კომპლექსური, შორს გამიზნული ღონისძიებების სისტემაა. მით უფრო საშურია, შესაბამისმა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა (უპირველესად მათმა ხელმძღვანელებმა) ჯერ თავად აიღონ სწორი ორიენტირი, გაიაზრონ, გაითავისონ ეს დადგენილება, შემდეგ კი უნარიანად წარმართონ მათდამი დაქვემდებარებული რგოლები მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.



საკვების დამზადებას— შეუნელებელი ყურადღება!

სუსხიანი და ხანგრძლივი ზამთარი იცის მესხეთ-ჯავახეთში. აქ პირუტყვი ხშირად 6-7 თვის მანძილზე ბაგურ კვებაზეა. ნორმალურად რომ გამოაზამთრონ და ზამთარშიაც მაღალი პროდუქტიულობა შეინარჩუნონ, მეტი ხორცი და რძე მიიღონ, საჭიროა რაც შეიძლება მეტი და ყუათიანი საკვები დაუმზადონ პირუტყვს. ეს კარგად ესმით აქაურ მშრომელებს და კიდევაც ძალისა და ენერგიას არ იშურებენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

სამცხე-ჯავახეთის რაიონებს შორის პირველნი ახალციხელები შეუდგნენ საკვების დამზადებას. ივლისის პირველ რიცხვებში მტკვრისა და ფოცხოვის ნაპირებზე მთელი ძალით გაჩაღდა თიბვა, სენაჟის ჩადება. ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ვისაც ცელის, ფოცხისა და ფიწლის დაჭერა შეეძლო, სათიბებში გავიდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს პირუტყვის საკვების დამზადებაში ეხმარებიან აგრეთვე ქალაქების — ვალესა და ახალციხის წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივები, უფროსკლასელი მოსწავლეები.

რაიონში, ნაცვლად გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 18.000 ტონისა, 19.098 ტონა სენაჟია დამზადებული. ახალციხელები გეგმა-დავალების გადამეტებით კიდევ დაამზადებენ 1.000 ტონა სენაჟს. სენაჟის ჩადებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, აგარისა და სვირის საბჭოთა მეურნეობების, ანის, ვალეს, მუსხის კოლმეურნეობების საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც მოკლე დროში გადაჭარბებით შეასრულეს სენაჟის ჩადების დავალები.

გარდა სენაჟისა რაიონში წელს უნდა დაამზადონ აგრეთვე 12.000 ტონა თივა, 5.000 ტონა ნამჯა და 6.000 ტონა სილოსი. ჯერჯერობით დამზადებულია მხოლოდ 1.000 ტონამდე თივა და 800 ტონამდე სილოსი. უნდა დაჩქარდეს თივისა და სილოსის დამზადების ტემპი.

რაიონში მარცვლეულის მოსავლის აღებაც მიმდინარეობს. უკვე მომკილია ასობით ჰექტარი პურის ყანები და გაზაფხულის ქერი. მოსავალი კარგია, ზოგან ჰექტარზე 25-27 ცენტნერამდე მარცვლეულს იღებენ. ეს ნიშნავს, რომ აქაურ საზოგადოებრივ მეურნეობებს საკუთარი წახნის, ბექანოს კოლმეურნეობებმა, ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობამ, რომლებმაც გეგმა-დავალებით გათვალისწინებულზე მეტი და მაღალხარისხოვანი სენაჟი დაამზადეს და ახლა თივის, სილოსისა და სხვა საკვების დამზადებაზეც წარმატებით მუშაობენ. მაგრამ ასე როდი ითქმის ყველაზე. რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას ჯერ სანახევროდაც არა აქვს შესრულებული სენაჟის დამზადების გეგმა-ვალდებულებები. განსაკუთრებით ჩამორჩენიან იხტილის, ალასტნის, ზაკვის საბჭოთა მეურნეობები, მაჭატისა და ღადოს კოლმეურნეობები. ამ საზოგადოებრივ მეურნეობათა საკვებმომპოვებლებმა უნდა დააჩქარონ საკვების დამზადების ტემპი.

ადიგენის რაიონში ამ ბოლო დროს სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სენაჟის ჩადება. ივლისის ბოლოსათვის აქ დამზადებული იყო 22.618 ტონა სენაჟი, რაც გეგმა-დავალების 83 პროცენტია.

რაიონში დაიწყეს თივის დამზადებაც. გათიბულია 400 ჰექტარამდე ბუნებრივი და ნათესი ბალახები. თივის დაბინავებას შეუდგნენ, მაგრამ აქაურ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მთიდან თივის ჩამოსაზიდად არ ჰყოფნით ტრანსპორტი, რაც აქვთ, ისიც სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ხშირად შეფერხებით მუშაობს. ამ საქმეში მთ დახმარება სჭირდებათ. „საქსახსოფლტექნიკამ“ და მისმა რაიონულმა განყოფილებამ ამთავითვე უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მანქანებმა საკვების დამზადებაზე შეუფერხებლად იმუშაონ.

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებში წელს უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ საკვების დამზადებას. სოფელ რუსთაველის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა უკვე შეასრულეს სენაჟისა და სილოსის დამზადების გეგმა-დავალება. სოფელ ტოლოშისა და დაბა ასპინძის კოლმეურნეობებმაც დაამთავრეს სენაჟის ჩადება. ახლა ისინი თივის, ნამჯისა და სხვა საკვების დამზადებაზე მუშაობენ.

რაიონის 19 კოლმეურნეობიდან შვიდს — ოთის, ჭობარეთის, საყუდაბლის, აწყვიტის, ხერთვისის, თოკის და ვარგავის კოლმეურნეობებს ივლისის ბოლოსათვის 30 პროცენტითაც არ ჰქონდათ შესრულებული სენაჟის დამზადების დავალება. ორს კი, ძველისა და ორგორის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სენაჟის ჩადება. აქ, როგორც ჩანს, ავიწყდებათ, რომ დრო აღარ ითმენს, ხელსაყრელი ამინდები იკარგება, ბალახი ხმება.

დამზადებულია მხოლოდ 5.594 ტონა სენაჟი, 647 ტონა თივა და 150 ტონა სილოსი, გეგმა-დავალებით კი წელს აქაურმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა დაამზადონ 10.000 ტონა სენაჟი, 6.800 ტონა თივა, 3000 ტონა ნამჯა და 2000 ტონა სილოსი.

შრომის დაბალი ტემპის გამო რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ხშირად 9-10 დღის დაგვიანებით ძლივს ივსება და იხურება სასენაჟე ორმოები, რათაც ირღვევა სენაჟის დამზადების ტექნოლოგია, ქვეითდება მისი ხარისხი.

საკვების დამზადების გაჭიანურება რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში იმის ბრალია, რომ მექანიზაციის დონე დაბალია. აქაურ საკვებმომპოვებლებს ძირითადად ხელით უხდებათ ისეთი შრომატევადი სამუშაოების შესრულება, როგორიც არის თიბვა, მწვანე მასის შეგროვება, მანქანაზე დატვირთვა, გადმოტვირთვა და სხვა.

აღნიშნული ნაკლოვანებები რომ დროულად აღმოიფხვრას და დაჩქარდეს საკვების დამზადების ტემპი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, „საქსახსოფლტექნიკამ“ და მისმა რაიონულმა განყოფილებამ ოპერატიულად უნდა იზრუნონ სათანადო ტექნიკით ასპინძის რაიონის საკვებმომპოვებელთა უზრუნველყოფისათვის.

ზ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

გავაძლიეროთ სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება

● უტყუარი კრიტერიუმი ● სახსრებისა და ძალების კონცენტრაციით ● სამზადისი არ უნდა დაგვიანდეს

ხუთწლედი, მეჯიბრეობა!

4 აგვისტოს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, რომელიც დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

მეგობრული საუბრის დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა ერთმანეთს გააცნეს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე ამჟამად მუშაობენ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი, მომავალი პერიოდის გეგმები.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის პერსპექტივებს. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ვითარდება კოოპერაცია მანქანათმშენებლობაში, ენერგეტიკაში, მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობასა და ბევრ სხვა დარგში. მხარეებმა განაცხადეს, რომ კვლავაც გააღრმავებენ ეკონომიკურ ინტეგრაციას როგორც ორმხრივი წესით, ისე გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, რომლებიც მოიწონა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ.

საუბრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა განსაზღვრავ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცოცხალი, მუდმივად მზარდი კავშირურთიერთობა საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. გერეკს მიაჩნიათ, რომ ყველაზე საჭირბოროტო საერთაშორისო ამოცანა რეალურ განიარაღებაზე გადასვლა, მსოფლიო ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ იგი აფართოებს ყოველივე იმის ჰორიზონტებს, რის მიღწევაც შეიძლება ამ გზაზე.

საუბრის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესება, რაც ჰელსინკის შემდეგ მოხდა, ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რათა განახორციელონ ერთობლივი აქციები დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის განვითარების სასარგებლოდ. ამ თვალსაზრისით უდგებიან საბჭოთა კავშირი და პოლონეთი ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის შენელების საკითხებზე კონფერენციის მოწვევის იდეასა და მომავალ შეხვედრას მადრიდში.

ამავე დროს დამაფიქრებელია, რომ ნატოს მთელ რიგ ქვეყნებში ცოცხლდება გეგმები, რათა ხელახლა აღჭურვონ არსებული სამხედრო არსენალები ახალ, უფრო დამღუპველ სახეობათა შეიარაღებით, ისეთით, მაგალითად, როგორიც არის ნეიტრონული ბომბი. ამგვარი გეგმების განხორციელება ეწინააღმდეგება ევროპის, და არა მარტო ევროპის, ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის საუბარმა გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და ჭამოავლინა განხილულ საკითხებზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი. (საკდესი).

მესხეთის მთებში...

ზაფხულის ბოლოს, ხუთწლედიდან ხუთწლედამდე იზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. პარტია მუდამ ითვალისწინებდა და ითვალისწინებს კონკრეტული ისტორიული გითარების თავისებურებებს, ამ თავისებურებათა შესაბამისად სრულყოფს მეურნეობის წარმართვის მექანიზმს.

ეკონომიკის მართვა დიდ ხელოვნებას მოითხოვს. რთული სამეურნეო კავშირი და ეკონომიკის გრანდიოზული მასშტაბი, დარგობრივი და ტერიტორიული, მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების შეხამება, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების, რესურსებისა და ეფექტის წინასწარი ვარაუდი, საშინაო თუ საგარეო სპეციფიკური პირობების გათვალისწინება — აი არასრული წრე იმ

პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის

ძალთა გაერთიანებით

სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც სახალხო მეურნეობას აქვს, კერძოდ, მოწინავე გამოცდილება და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. უკანასკნელი წლების მანძილზე არსებითი ძვრები მოხდა საქართველოს ეკონომიკის ბევრ უბანზე. საგრძნობლად გაუმჯობესდა მშენებლობის საქმის მდგომარეობაც. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის დამდეგიდან 5 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები ამოქმედდა, რაც მილიარდ-ნახევრით მეტია, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში. მრავალი მარცხის შემდეგ პირველად სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები. მაგალითად, მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მარტო თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით მილიონ 514 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად კაპიტალური მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად არის მიღწეული. როგორ მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში მუშაობის მეტ სტანდარტულობას? ამის თაობაზე „პრავდის“ კორესპონდენტის გ. ლებანიძის თხოვნით გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

— რესპუბლიკის დღევანდელ მშენებლობათა მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ მკვეთრად გაიზარდა მათი მასშტაბი. საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში იქმნება ათობით საწარმო, რომლებსაც შორს იცნობენ კავკასიის ფარგლებს გარეთ. ავიღოთ თუნდაც ისეთი ობიექტები, როგორიც არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის ქიმიური ქარხნების ახალი საამქროები... კაცს გაგიჭირდება იმ ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებსაც წილი უდევთ ამ და სხვა გიგანტების შექმნაში. ასეთ სამშენებლო მოედნებზე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მრავალი უწყების ინტერესები, და ახლა საქმის წარმატება სულ უფრო ხშირად დამოკიდებულია ძალთა კოორდინაციის უნარზე, სხვადასხვა დარგის ზუსტ ურთიერთმოქმედებაზე. და ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ამას ვერ ვაღწევდით შეტ წილ ობიექტებზე. შეუთანხმებლობის წვრილმანი ხარვეზების გამო საწარმოთა აგება ზოგჯერ წლობით ჭიანურდებოდა.

დარგის მუშაობის დუნე ტემპით შეწუხებულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მწვავედ დასვა საკითხი, რომ საჭირო იყო უფრო გაბედულად გვეგრძოლა მშენებლობის ვადების შესრულებისათვის. ობიექტებზე შექმნილი მდგომარეობა პარტიის საოლქო კომიტეტების, თბილისის, ბათუმის, რუსთაველისა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტებისა და მთელი რიგი რაიკომების პლენუმების განხილვის საგანი გახდა. დაისახა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებათა ფართო პროგრამა.

კერძოდ, იმ მიზნით, რომ უწყებათა შესაყარზე შემცირებულიყო დროის დანაკარგები, დიდ მშენებლობებზე დაიწყეს პარტიული შტაბების შექმნა. ისინი კოორდინაციას უწევენ შემკვეთთა და მოიჯარადრეთა, დამპროექტებელთა და მემონტაჟეთა მუშაობას. მაგალითად, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის შტაბმა, რომელსაც პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მეთაურობს, ხელი შეუწყო მომჯავნავთა შეჯიბრების გაჩაღებას. ასე დამყარდა მეიდრო კონტაქტები, ერთი მხრივ, მშენებლებსა და, მეორე მხრივ, მოწყობილობა-მასალების მიმწოდებლებს შორის. თხოვნას, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგურისათვის დასაბერ ვადაზე აღრე გამოეგზავნათ ტურბინები, გამოეხმაურა ხარკოვის ტურბინის ქარხნის კოლექტივი. ვალდებულებათა შესრულება სცადეს ახალმშენებლობასთან დაკავშირებულმა სხვა საწარმოებმაც. შტაბის მუშაობამ საშუალება მოგვცა აგრეთვე გაგვეაქტიურებინა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა, აგვეშალღებინა დავალებული უბნებისათვის მოიჯარადრეთა და შემკვეთთა პასუხისმგებლობა. ამან, საბოლოო ანგარიშით, ხელი შეუწყო მთავარი ამოცანის შესრულებას, პირველი სამი აგრეგატის წარმატებით ამუშავებას.

ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე ძოისმინა შტაბების ხელმძღვანელთა ანგარიშები. შევნიშნეთ, რომ წარმატებას უფრო ხშირად იმ ობიექტებზე აღწევენ, სადაც ეს საზოგადოებრივი ორგანოები კი არ წვრილმანდებიან, არამედ მასშტაბური, პერსპექტიული საკითხებზე მუშაობენ. ადამიანებისათვის ზრუნვა და დიდი მომთხოვნელობა, ოპერატიულობა და კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილებანი — აი, რა უდევს საფუძვლად წარმატებას. ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით შტაბები თავიანთ საქმიანობაში ახლა უფრო მეტად ეყრდნობიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. დღეს ხომ რესპუბლიკის ობიექტებზე 18 ათასზე მეტი კომუნისტი შრომობს, რომლებიც გაერთიანებული არიან 680 პირველადსა და 526 საამქრო ორგანიზაციაში.

ეს დიდი ძალაა. მისი დახმარებით უფრო იოლად შეგვიძლია გავუწიოთ კონტროლი პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესრულებას და ავამაღლოთ შრომითის კოლექტივებში სამემსრულებლო დისციპლინა. იქ, სადაც ამას ივიწყებენ, კარგს ნურაფერს მოელიან. მაგალითად, ასე მოხდა ზნაურის რძის წარმოების კომპლექსისა და ფოთის ელევატორ-წისქვილქარხნის მშენებლობაზე. აქ ვერ შეძლეს ფართოდ გაეჩაღებინათ ორგანიზატორული მუშაობა და მოეგვარებინათ რგოლების ზუსტი ურთიერთმოქმედება. ამ ობიექტების ამუშავება ჩაიშალა.

ცხადია, პარტიული შტაბები ყველა პრობლემისგან ვერ იხსნიან მშენებლობებს. ხდება ხოლმე, რომ საკითხის გადაწყვეტა სამინისტროების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა თუ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელთა კომპეტენციაში შედის. როგორ მოვიქცეთ, რომ სხვადასხვა ინსტანციაში „მისვლა-მოსვლის“ გამო საქმეს ზიანი არ მიადგეს? მართვის ზედა სართულების მუშაობის კოორდინაციის მიზნით შექმნილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხელმძღვანელობს. ამ საზოგადოებრივი ორგანოს მეცადინეობით შევძელით, მაგალითად, აგვეშალღებინა სპეციალისტების პასუხისმგებლობა პროექტების ხარისხისათვის და მატერიალური რესურსების ხარჯვაში მომჭირნეობისათვის. ამას წინათ შემოვიღეთ სპეციალური სტატისტიკური ანგარიშგება ობიექტებზე საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობისათვის. ამან საშუალება მოგვცა უკეთ გავუწიოთ კონტროლი საქმის მიმდინარეობას. ახლა თვალნათლივ ჩანს, კონკრეტულად ვინ და რატომ შლის მშენებლობის გრაფიკებს. მათ მკაცრად მოვკითხავთ ხოლმე კომისიების სხდომებზე.

საიჯარო მეთოდის სარგებლიანობა ხომ აშკარაა. სადაც ეს მეთოდი დაინერგა, მშენებლობის ვადები 15 პროცენტით მცირდება, ხოლო შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით მატულობს. გარდა ამისა, საქართველოში ბევრი, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობის კარგი წამოწყებაა. მოწინავეთა გამოცდილების გამოყენება დარგის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობად მიგვაჩნია.

ცნობილია, რომ სამშენებლო ინდუსტრიაზე პარტიული გავლენა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო სიამეღოდ არის შერჩეული საქმიანი და ზნეობრივი თვალსაზრისით კადრები. ვინ არიან ისინი, სამმართველოებისა და ტრესტების, ტექნიკური სამსახურებისა და უბნების დღევანდელი ხელმძღვანელები? ეს საკითხები რესპუბლიკის პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრშია. საქართველოში შექმნილია ხელმძღვანელი კადრების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების მრავალფეროვანი ფორმები. სამშენებლო კოლექტივებში იზრდება პარტიული ფენა. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე აქ კომუნისტთა რიცხვი 23 პროცენტით გაიზარდა. მათ რთულ საქმეებს ვავალებთ, მოვითხოვთ, რომ უფრო აქტიური გავლენა მოახდინონ კოლექტივების მორალურ ატმოსფეროზე. რესპუბლიკის კომუნისტებს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. საოლქო და საქალაქო კომიტეტები ცდილობენ მეტი დახმარება გაუწიონ სამეურნეო მუშაკებს, მაგრამ ამავე დროს მკაცრად მოჰკითხავენ ხოლმე მათ მინდობილი უბნებისათვის.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველა კომიტეტი ვერ ამაღლებს სპეციალისტთა პასუხისმგებლობას ისე, როგორც ამას ჩვენი ხანა მოითხოვს. სწორედ ეს ხარვეზია, რომელიც უფრო ხშირად ახდენს ხოლმე უარყოფითს გავლენას სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხარისხზე. ხდება ხოლმე, რომ ადამიანები, უპატაკებენ ობიექტის ჩაბარებას, შემდეგ კი თვეობით მუშაობენ ხარვეზების - ბასმასწორებლად. აი, ვთქვათ, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაკებმა საზეიმოდ გადაასცეს საექსპლოატაციოდ არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის შენობა. მაგრამ მერე გაირკვა, რომ აქ ბევრი წუნი ყოფილა.

კონსტრუქციებისა და დეტალების მდარე ხარისხს დამატება „თბილისქალაქმშენის“ გაერთიანების სპეციალისტთა დაუდგენლობა. ...ნ. ...ბ... ...ბ... დისციპლინის გაძლიერებაში.

სიამ მოისმინა მეცნიერებათა აკადემიის ობიექტების უხარისხო აგებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის საკითხი და მოამზადა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში განსახილველად. ყოველად შეუწყნარებელია, რომ მშენებლობის სწრაფ ტემპს შენობათა ხარისხის საზიანოდ ვაღწევდეთ, თორემ ქარს გვატანთ მრავალი კოლექტივის ბრძოლას კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებისთვის. ეს კი უმთავრეს მიზნად მიგვაჩნია. შემხვედითი როდია, რომ მეათე ხუთწლედში მთელი კაპიტალური დაბანდების 47 პროცენტი ჩვენში საწარმოთა რეკონსტრუქციას ხმარდება. ამის ხარჯზე პროდუქციის მატებამ უკვე 750 მილიონი მანეთი შეადგინა. მომავალში გათვალისწინებული გვაქვს რეკონსტრუქციისათვის გაცილებით მეტი სახსრები დავაბანდოთ. კერძოდ, ასეთ ამოცანას გვისახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე. სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

ამას წინათ კაპიტალური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განვიხილეთ. პლენუმმა საერთოდ დადებითად შეაფასა გაწეული მუშაობა და დაავალა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ უზრუნველყონ 1981-1985 წლებში მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპისათვის მომზადება. გათვალისწინებული მიჯნების მისაღწევად დამტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებანი.

ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედი და ამას ვახმართ მეეკ ჩვენს ძალ-ღონეს. რესპუბლიკის მშენებლებმა დიდი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. მაგალითად, მათ გადაწყვიტეს წელს შრომის ნაყოფიერება 4,5 პროცენტით გაზარდონ და ათვალებით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა გათვალისწინებულია შესრულდეს ვადამდე — 28 დეკემბრისათვის. მწყობრში ჩადგება ბევრი ახალი სიმძლავრე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს რესპუბლიკის ეკონომიკას.

გ. კოლბინი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

თბილისი, 1979 წ. ...

მკითხველთა წერილებიდან ამოდაკვალ

რატომ უჭირთ ვანათელებს?

„ვინც ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონს ჩავლის, არ შეიძლება არ შეჩერდეს, თვალი არ შეავლოს და გულისტკივილით არ თქვას: რად ვანაოვები სახელმწიფო ქონებას, რად ვიჩენთ ასეთ უსულგულობას?...“—ასე იწყებდა „კომუნისტის“ რედაქციაში გამოგზავნილ წერილს ომის ვეტერანი ვახტანგ გოჩიაშვილი და შემდეგ ვანათელთა სხვა სატკივარსაც გვაუწყებდა.

წერილის კვალს გავყევით.

ცხინვალიდან ვანათამდე სულ თორმეტიოდე კილომეტრია. მოასფალტებული გზა სწრაფად გავიარეთ და სოფელს რომ მივატანეთ, მოულოდნელად, მთას რაგორც სჩვევია, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ავტობუსის მოლოდინში გზის პირას შეკრებილი მგზავრები თავის შესაფარებლად ზოგი მაღაზიას მიაწყდა, ზოგიც — სასადილოს.

— აი ასეთ დღეში ვართ, — გვეუბნება სოფლის პატრიოტი კაცი ვ. გოჩიაშვილი. გვპირდებიან მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურს აგიშენებთო, მაგრამ ამ ხაქმეს საშეელი არ დაადგა. ვანათელებმა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციასაც მისწერეს და პასუხად საოლქო საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსმა ა. მარგიევმა რედაქციას აცნობა: „ვანათელთა მოთხოვნა სამართლიანია. ცხინვალის რაიონის საგზაო-ტექნიკურ უბანს მიეცა წინადადება, მამდინარე წელს ვანათში აუცილებლად დაედგა ჯიხური“. მას შემდეგ წელიწად-ნახევარი გავიდა, ჯიხური კი არ ჩანს.

ვანათი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე სოფლების თავი-სებური ცენტრია. აქედან იყრება ვანათის, ბელოთის, ბერის სასოფლო საბჭოების სოფლებისაკენ მიმავალი გზები. ამდენად გასაკვირია, თუ რაოდენ საჭიროა ამ ჯიხურის დადგმა.

ცხინვალის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მესვეურთა მიმართაც ბევრი საყვედური მოვისმინეთ.

1973 წელს აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის მშენებლობა დაიწყეს, ორი წლის შემდეგ, როგორც იქნა, დაამთავრეს სულ რაღაც 30 კვადრატული მეტრი ფართობის ულაზათო სამზლის აგება.

ახლა კი გვეშველა, იფიქრეს ვანათელებმა, ტანსაცმელს შევიკერავთ, ფეხსაცმელს შევაკეთებინებთ და პირსაც გავიპარსავთო...

უთქვამთ, დაპირებულს სამ წელიწადს ელოდეო. ცხინვალის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელობის უუნარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვანათში არც თერძია, არც დალაქი და არც ფეხსაცმლის შემკეთებელი. წელიწად-ნახევარი სწავლობდა თბილისში სამკერვალო საქმეს ვანათელი ლ. კოჯიშვილი, თვეში 48 მანეთს სტიპენდიას უხდიდნენ, სოფელს მოეკლინა სპეციალისტი, მაგრამ საკერავი მანქანის ელექტროძრაველში ჩართვა დღემდე ვერ მოუხერხებიათ, ოსტატს ელის აგრეთვე პარიკმახერის სავარძელი.

ყველაზე დიდი გასაჭირი ვანათელებს სასმელი წყლის უქონლობით ადგათ. სწორედ მათზეა ნათქვამი — წყალი გქონდეს და წყაროვილი გიხრჩობდესო.

აქ მდინარე პატარა ლიახვი წყალუხვად მოედინება. სოფლის მახლობლად ოდენი კაკაბა წყაროა, წისქვილებს აბრუნებს. დიდი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ამ მიდამოების აღწერისას ალბათ ამიტომაც ამბობდა: „აქ არის წყალი წმინდა, გემრიელი და მეტად ბრძოგიო“... ეს გარემოება არც გორის რაიონის ხელმძღვანელებს გამორჩენიათ და აქ, ვანათში წყალსადენი ააგეს, თავიანთი სოფლების მოსახლეობა დააკმაყოფილეს გემრიელი სასმელი წყლით. ვანათელები კი ობლებივით დარჩნენ, უწყლობა აწუხებთ. ამას შესჩივიან მეუურნეობის ხელმძღვანელებს, სასოფლო საბჭოსა და ცხინვალის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკებს. სად არ მისწერეს, ვის არ მიმართეს, მაგრამ პასუხი ერთია — წყალსადენი აშენდებაო. მართალია, პროექტი შედგა, რომელიც 2000 მანეთზე მეტი დაჯდა, მაგრამ საქმე ამით დამთავრდა.

ვიმედოვნებთ, ვანათელთა სატკივარს გულთან ახლოს მიიტანენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, ყველანი, ვისაც წერილში აღძრული საკითხების მოგვარება ევალება.

გ. თედეევი

ერთდროულად სამ ადგილზე

„კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამბროლაურის რაიონის ლიხეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამო უხეშად ირღვევა საფინანსო და შრომის დისციპლინა, სახოფლო-სამეურნეო წესდება. არის თანამდებობათა უკანონო შეთავსებების ფაქტები.

ანალოგიური საჩივარი მიიღო რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმაც. ამიტომ „კომუნისტის“ რედაქციამ და პარტიის ამბროლაურის რაიკომმა ერთობლივად შეისწავლეს წერილში ჩამოთვლილი ნაკლოვანებები. გამოირკვა, რომ ექვსი წლის წინათ ლიხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე შრომის კანონმდებლობის დარღვევით აირჩიეს ამავე კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გ. მელაშვილი, რომელსაც ამ თანამდებობაზე დაწინაურება არ დაუმსახურებია. უფრო მეტიც, მან ამავე დროს შეითავსა კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტობა. ეს მაშინ, როცა საშუალო სკოლაშიც ეკავა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის თანამდებობა, ესე იგი გ. მელაშვილი ერთდროულად გაფორმებული იყო სამ სამსახურში და გასამრჯელოდ საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებდა.

გ. მელაშვილმა, რომელიც ლიხეთის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნადაც მუშაობდა, კომუნისტისათვის შეუფერებელი სხვა საქციელიც ჩაიდინა. იგი შარშან ხუთ თვეს იმყოფებოდა საავადმყოფოში, დანარჩენი ოთხი თვე კი მკურნალობდა ამბულატორიული წესით და, ცხადია, მას არ შეეძლო მუშაობა, თავისი მოვალეობის შესრულება. მაგრამ ამან ხელი როდი შეუშალა იმაში, რომ სრულად მიეღო საავადმყოფო ფურცლებზე ყოველთვიური ერთი სტუდენტი, კოლმეურნეობას უკანონოდ წაგლიჯა 400 მანეთი.

დადასტურდა ისიც, რომ კოლმეურნეობაში გ. მელაშვილის მიბაძვით ორი-სამი თანამდებობა უკავიათ სხვა პირებსაც. მაგალითად, კოლმეურნეობის მეცნიერ-ოსი ო. მეტრეველი არასაუწყებო დაცვის შუშაკია და თან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ავტომანქანის მძღოლად შუშაობს.

აღნიშნული დარღვევების შესახებ ამ დღეებში იმსჯელა პარტიის ამბროლაურის რაიკომის ბიუროომ და გ. მელაშვილს კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარაათში შეტანით და მოხსნა იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან. გ. მელაშვილი განთავისუფლებულია აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილისა და ფიზკულტურის მეთოდისტის თანამდებობიდან.

ამბროლაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ლიხეთის კოლმეურნეობის გამგობა დაავალდებულა გ. მელაშვილისაგან ანაზღაურეროს უკანონოდ მიღებული თანხა.

ვ. ციბერკიძე.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

კრიტიკული გამოსვლის გამო

„კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამბროლაურის რაიონის ლიხეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამო უხეშად ირღვევა საფინანსო და შრომის დისციპლინა, სახოფლო-სამეურნეო წესდება. არის თანამდებობათა უკანონო შეთავსებების ფაქტები.

ანალოგიური საჩივარი მიიღო რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმაც. ამიტომ „კომუნისტის“ რედაქციამ და პარტიის ამბროლაურის რაიკომმა ერთობლივად შეისწავლეს წერილში ჩამოთვლილი ნაკლოვანებები. გამოირკვა, რომ ექვსი წლის წინათ ლიხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე შრომის კანონმდებლობის დარღვევით აირჩიეს ამავე კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გ. მელაშვილი, რომელსაც ამ თანამდებობაზე დაწინაურება არ დაუმსახურებია. უფრო მეტიც, მან ამავე დროს შეითავსა კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტობა. ეს მაშინ, როცა საშუალო სკოლაშიც ეკავა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის თანამდებობა, ესე იგი გ. მელაშვილი ერთდროულად გაფორმებული იყო სამ სამსახურში და გასამრჯელოდ საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებდა.

გ. მელაშვილმა, რომელიც ლიხეთის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნადაც მუშაობდა, კომუნისტისათვის შეუფერებელი სხვა საქციელიც ჩაიდინა. იგი შარშან ხუთ თვეს იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. აქედან ერთი თვე იწვა საავადმყოფოში, დანარჩენი ოთხი თვე კი მკურნალობდა ამბულატორიული წესით და, ცხადია, მას არ შეეძლო მუშაობა, თავისი მოვალეობის შესრულება. მაგრამ ამან ხელი როდი შეუშალა იმაში, რომ სრულად მიეღო საავადმყოფო ფურცლებზე ყოველთვიური კუთვნილი თანხა და ხელფასიც. ერთი სიტყვით, კოლმეურნეობას უკანონოდ წაგლიჯა 400 მანეთი.

დადასტურდა ისიც, რომ კოლმეურნეობაში გ. მელაშვილის მიბაძვით ორი-სამი თანამდებობა უკავიათ სხვა პირებსაც. მაგალითად, კოლმეურნეობის მეცნიკოსი ო. მეტრეველი არასაუწყებო დაცვის მუშაკია და თან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ავტომანქანის მძღოლად მუშაობს.

აღნიშნული დარღვევების შესახებ ამ დღეებში იმსჯელა პარტიის ამბროლაურის რაიკომის ბიუროომ და გ. მელაშვილს კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარაათში შეტანით და მოხსნა იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან. გ. მელაშვილი განთავისუფლებულია აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილისა და ფიზკულტურის მეთოდისტის თანამდებობიდან.

ამბროლაურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ლიხეთის კოლმეურნეობის გამგობა დაავალდებულა გ. მელაშვილისაგან ანაზღაუროს უკანონოდ მიღებული თანხა.

ვ. ციბერკიძე.

დამხმარე მეურნეობის სიკეთე

ხორცისა და ბოსტნეულის საამქროები

რუსთავში — რესპუბლიკის ამ უდიდეს სამრეწველო ქალაქში დღითი დღე სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მშრომელთა თაოსნობა საწარმო-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის გასავითარებლად.

აქაურმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს დამხმარე მეურნეობებიდან მიიღონ 200 ტონა ხორცი (დღეისათვის უკვე წარმოებულია 141 ტონა) და ასობით ტონა ბოსტნეული, ისინი დაამზადებენ აგრეთვე 1.000 ტონამდე მწვანე მასას.

რუსთავის სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატს დამხმარე მეურნეობისათვის 16 ჰექტარი აქვს გამოყოფილი. აქ დიდი რაოდენობით მოჰყავთ პამიდორი, ჭარხალი, კიტრი, კომბოსტო, მწვანილი; წელიწადში საშუალოდ 10.000 ცოცხს ამზადებენ, რითაც განათლების სისტემის ორგანიზაციათა მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

მეურნეობა სამეურნეო ანგარიშზეა და რენტაბელურად მუშაობს. წლიური შემოსავალი 17.000 მანეთს აღწევს. ამჟამად აქ ჰყავთ 60 ღორი, რომლებსაც თავიანთი სასადილოს ნარჩენებით კვებავენ. ხორცსა და ბოსტნეულს იმდენს აწარმოებენ, რომ სკოლა-ინტერნატის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებენ და მეტალურგიულ ქარხანასაც აწვდიან. მაგალითად, წლეულს მოსწავლეებმა მეტალურგებს 18 ღორი ჩაბარეს. სამაგიეროდ მათ ქარხანაც ხელს უმართავს დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში.

დამხმარე მეურნეობის გაძღოლის სანიმუშო მაგალითს გვიჩვენებენ მეტალურგები. რამდენიმე წლისა ქარხანას აქვს სასათბურე მეურნეობა, რომელიც მშრომელებს კიტრით, პამიდვრით და მწვანილით ამარაგებს.

ქარხნის მეღორეობის კომპლექსი, რომელშიც ფართოდ არის დანერგილი მექანიზაცია, ბევრ სპეციალიზებულ ფერმას გაუწევს მეტოქეობას.

კომპლექსში ჯერჯერობით 415 ღორი ჰყავთ. მალე საპროექტო სიმძლავრის მიხედვით მათი რიცხვი 2.000-ს მიაღწევს. იანვარ-თებერვალში მიღებულმა ორასმა გოჭმა უკვე მიაღწია საკონდიციო წონას და მათი ბორცი ქარხნის მაღაზიის საშუალებით მეტალურგებს მიეყიდათ.

ქარხნის ადმინისტრაცია მიღწეულს არ სჯერდება, დღენადაგ ეძებს დამხმარე მეურნეობის განვითარების ახალ გზებს. საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით მეტალურგები აბაშის რაიონის მშრომელებს დაეხმარნენ წყალსადენი მილების მიწოდებით. თავიანთი მხრივ არც აბაშელები დარჩებიან ვალში — ისინი მეტალურგებს ღორის საკვებად 15-20 ტონა სიმინდს გამოუგზავნიან.

ღორების სასუქებელი კომპლექსი, შეიძლება ითქვას, გარე სამქროა ქარხანა-გიგანტისა და თანდათან მიზნობრივად ერწყმის და ეთვისება საწარმოს რიტმსა და მუშაობას.

დამხმარე მეურნეობა ორი წლის წინ მოაწყვეს ქალაქის ვაჭრობის სამმართველოში. აშენეს დიდი ფერმა, რომელშიც ამჟამად 715 ღორია. სულ მალე გასასუქებელი ღორების სულადობა 1.380-მდე გაიზარდა.

ჯერჯერობით რეალიზებულია 140 ცენტნერი ხორცი. ხორცის წარმოების ზრდასთან ერთად თანდათან მცირდება მისი თვითღირებულება. იაფი პროდუქციის წარმოების საქმეს ხელს შეუწყობს ისიც, რომ 50 ქუბა... საკვებს შენდება, რეპროდუქტორი. გათვალისწინებულია შეიქმნას ცალკე განყოფილება ასხლეტილი გოჭებისათვის.

რუსთაველი ვაჭრობის ტუშაკები კიდევ ბევრი სასარგებლო ღონისძიების განხორციელებას აპირებენ დამხმარე მეურნეობის უკეთ მოსაწყობად, მაგრამ საამისოდ მიწის ფართობი არ ჰყოფნით. კარგი იქნება, თუ მათ გარდაბნის რაიონი დამხმარე მეურნეობის საჭიროებისათვის რამდენიმე ჰექტარს გამოუყოფს, მით უმეტეს, რომ სამმართველოს მეღორეობის ფერმის მოსაზღვრე ტერიტორია ცდება.

ორ ბუეში ამუშავდება რუსთავის ქიმიური ქარხნის მეღორეობის ფერმა. აქ პირველ ხანებში რამდენიმე ათეული ღორის გამოკვებას დაიწყებენ. შემდგომში კი ეს საქმე უფრო დიდი მასშტაბით წარიმართება. ამ მიზნით ქიმიკოსებმა მოკავშირე რესპუბლიკებში თავიანთი წარმომადგენლები მიავლინეს დამხმარე მეურნეობის ორგანიზაციის დარგში მოწინავე გამოცდილების შესასწავლად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა საწარმო-დაწესებულებებს მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინონ დამხმარე მეურნეობების მოწყობაში. ასეთ დახმარებას კი, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველები იმსახურებენ, რომლებიც ფოლადს, სასუქს, ცემენტს და ბევრ სხვა საჭირო მასალას აწარმოებენ ფაქტიურად.

ს. ჭინჭარაული,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფოტოინფორმაცია



ს ა ა ვ ტ ო ბ ი რ ი. პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა გ. მახათაძემ და ო. ჭურდაღვილმა შექმნეს მოძრავი სახეხი ჩარხი, რომელიც შავი მეტალურგიისა და მანქანათმშენებელ ქარხნებში გამოიყენება. ახალი ჩარხი გათვალისწინებულია ფურცლოვანი რკინისა და თხელი ლითონის ნაკეთობათა დასამუშავებლად.

ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი ახალი სახეხი ჩარხი ძველი ნიმუშებისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს უმნიშვნელო ვიბრაცია და შეანთქავს სამუშაო ადგილზე გამოყოფილ ლითონის მტვერს. ამავე დროს უფრო მცირე მოცულობისაა და ექსპლოატაციისათვის მოხერხებული.

სურათზე: მოძრავი სახეხი ჩარხის ავტორები — შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ო. ჭურდაღვილი (მარცხნივ) და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. მახათაძე.

ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად ფართო პროპაგანდას ეწევა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია. საზოგადოება „ცოდნის“ სამი ათასზე მეტი ლექტორი, პროპაგანდისტები და აგიტატორები ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში აწყობენ საუბრებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ეძღვნება.

დასახული გეგმის მიხედვით დიდ მუშაობას ეწევა პარტიის საოლქო კომიტეტის ლ



კიდევ უფრო რომ დამშვენდეს...

11-12 აგვისტოს ტყეების რესპუბლიკური დათვალიერებაა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1977 წელს მიიღეს დადგენილება „საქართველოს ტყეების მდგომარეობისა და სატყეო მეურნეობის მართვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ღრმა მეცნიერულ საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს სატყეო მეურნეობის არსებული მდგომარეობა, დასახულია სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და შემდგომი სრულყოფის გზები და ამოცანები. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში საკმარისად არ სრულდებოდა ნაკლებპროდუქტიული ტყის კორომების რეკონსტრუქცია, იჩეხებოდა მთავარი სარგებლობის ტყეების კაფვის წესები, სწორად არ იგეგმებოდა მერქნის გამოსავლიანობა, ყურადღება არ ექცეოდა სატყეო ეკონომიკის საკითხებს, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, განხორციელებულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ეკონომიკურ ეფექტიანობას, დაზარჯული სახსრების უკუგებას და სხვა.

ეს მეტად დროული და მნიშვნელოვანი დოკუმენტი სახელმძღვანელო პროგრამად იქცა საქართველოს თითოეული მეტყევისათვის. გასულ, 1978 წელს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ჩვენს ქვეყანაში პირველად მოაწყო რესპუბლიკის ტყეების დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, მწვრთნელები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა.

დათვალიერების შედეგების მიხედვით თბილისის სატყეო მეურნეობას რესპუბლიკაში პირველი ადგილი მიეკუთვნა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი კოლექტივის პასუხისმგებლობა მუშაობის მეტი ეფექტიანობის და ხარისხის მიღწევისათვის.

რა პრაქტიკული შედეგები მოგვცა ტყეების დათვალიერებამ? უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიექცა მთის რელიეფზე ჩამორეცხილი ეროზირებული ნიადაგების თანმედროვე მექანიზაციით დამუშავებას და მასზე შერჩეული ჯიშის ხეების გაშენებას, ნაკლებპროდუქტიული, უპერსპექტივო ტყეების (როგორც ხელოვნურად გაშენებული, ისე ბუნებრივი) რეკონსტრუქციას, სახალხო მეურნეობაში ფართოდ გამოსაყენებელი ჯიშების სკოლასანერგეებში და მუდმივ ფართობებზე გაშენებას. ეს ჯიშებია: კაკალი, წიფელი, სოჭი, ლარიქსი, ცაცხვი, მუხა, უთხოვარი...

თბილისის სატყეო მეურნეობამ თბილისისა და რუსთავის შემოგარენში ტყე-კულტურები 3000 ჰექტარ ფართობზე გააშენა.

უფრო მეტიც, თბილისის სამხრეთ-დასავლეთით, კრწანისის კლდოვან ფერდობებზე მიმდინარეობს ბურღვა-აფეთქებით ორმოების თხრა. თითოეულ ორმოში შეგვაქვს მცენარის გამოსაკვებად ერთ კუბურ მეტრზე მეტი მიწა და ვრგავთ საჭირო ჯიშის ხეებს. სადღეისოდ ასეთი რთული და შრომატევადი სამუშაოები შესრულებულია 50 ჰექტარზე. ახლად გაშენებული ხე-მცენარე თავის მუდმივ ადგილსამყოფელს კარგად შეეგუა და ხარობს. საუკუნეების მანძილზე ამ რთული რელიეფის ფართობებზე ფეხით სავალი გზაც კი არ იყო. ამჟამად კი სატყეო მეურნეობამ გაიყვანა ოთხკილომეტრიანი საავტომობილო გზა.

დიდი შრომის შედეგად ახდა მეტყეევეთა დიდი ხნის ოცნება — 1979 წლის 22 ივნისს პირველად გადავიდა ავტომობილი კრწანისის კლდოვანი ფერდობებით სოფელ თელეთში, სადაც გადმოცემის თანახმად თამარ მეფე თავის ლაშქარს ფეხით მიუძღოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელოვან წინაპართა ფეხით სავალი გზა გავაფართოეთ და მოვაწყვეთ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ზემოთჩამოთვლილი სამუშაოების გარდა სხვაგვარი სამუშაოებიც შესრულდა — მოეწყო ორი ბუნებრივი წყარო, გაიწმინდა და გასუფთავდა აქაური ხელოვნური და ბუნებრივი ტყეები, ამნენა მანქანების დასაყენებელი ადგილები, გადასახედები. მალე კრწანისის ფერდობებზე დიდი სიღრმის ბუნებრივ ხევებზე გაიდება ფეხით სავალი საბაგირო ხიდები. სატყეო მეურნეობას განზრახული აქვს მომდინარე წლის ბოლომდე ორას ჰექტარ ფართობზე მოაწყოს მშრომელთა დასასვენებელი ადგილები.

ასევთივე მასობრივი დასვენების ადგილების მოსაწყობად ამჟამად ფართო სამუშაოები მიმდინარეობს ყოფილი ბაგების სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი 500 ჰექტარია. მათ შორის 50 ჰექტარზე გაშენებულია კაკლისა და ნუშის მსხმოიარე კულტურები. ამავე ფართობებზე მოეწყობა ბუნებრივი წყაროები, მანქანების დასაყენებელი ადგილები, სპორტული მოედნები...

გავამწვანოთ, დავამშვენოთ თბილისი — ეს ყველა ჩვენგანის მოქალაქეობრივი, პატრიოტული ვალია.

შ. მეფარიძე,
თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი.

ვარაუდებიდან — ფაქტებისკენ

საბჭოთა ოკეანოლოგების ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები

მიმდინარე წლის მარტში დასავლეთის დიდმა საინფორმაციო საagენტოებმა „სენსაცია“ გაავრცელეს. რეიტერის საანგენტომ ლისაბონიდან გადმოსცა: „საბჭოთა მეცნიერებმა ამას წინათ მიიღეს ფოტოგრაფიები, რომლებიც, შესაძლოა, დაადასტურებს, რომ პორტუგალიასა და მადეირის კუნძულებს შორის მართლაც არსებობდა ლეგენდარული გამქრალი კონტინენტი ატლანტიდა, — განაცხადა აქ თვალსაჩინო საბჭოთა ოკეანოლოგმა, დოქტორმა ანდრია აქსიონოვმა თქვა, რომ რვა ფოტოსურათზე, რომლებიც პრესას გადაეცემა, მოჩანს წყალქვეშა მთა და გალავნისა და უზარმაზარი კიბის ნანგრევები“.

გასაგებია, რომ ამგვარმა ცნობამ ააღელვა არა მარტო მეცნიერები და ექსტრავაგანტური ჰიპოთეზების უამრავი გულშემატკივარი, არამედ ფართო საზოგადოებრიობაც.

და აი დამთავრდა რეისი ცნობილი საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი გემის „ვიტიაზისა“, რომელზეც გაიმართა ლისაბონში საქვეყნოდ გახმაურებული პრესკონფერენცია. რეისის უფროსი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ა. აქსიონოვი** უპასუხებს „იზვესტიის“ კორესპონდენტის მ. როსტარჩუკის კითხვებს.

— ანდრია არკადის ძევ, რას მიეძღვნა „ვიტიაზის“ ეს რეისი? რა თქმა უნდა, ალბათ, არა, გამქრალი ცივილიზაციების ძიებას?

— 17 თებერვალს „ვიტიაზი“ ნოვოროსიისკიდან თავის უკანასკნელ, 65-ე ექსპედიციაში წავიდა. ორი თვის განმავლობაში ჩვენ ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის იბერიის ქვაბულის სიღრმეებს ვიკვლევდით. როგორც ეს წინათაც ყოფილა, ევროპის ნავსადგურებში შესვლის დროს „ვიტიაზზე“ ამოდიოდნენ საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ინგლისისა და დანიის მეცნიერთა დიდი ჯგუფები. ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თხოვნით ეწყობოდა პრესკონფერენციები. ლისაბონშიც „ვიტიაზზეც“ მოეწყო ორი პრესკონფერენცია პორტუგალიელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. როგორც ყოველთვის, იძლეოდნენ სულ სხვადასხვაგვარ შეკითხვებს, მათ შორის ასეთსაც: „დაწვრილებით გვითხარით რამე ატლანტიდის შესახებ, რომელიც პლატონმა აღწერა, ნამდვილად არსებობდა იგი თუ არა?“.

იძულებული ვიყავ, ეცადა, ეს ამბავი ... ...

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ
ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ
VII ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ!

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

საერთო კრებები, რომლებზეც სპორტსმენებმა მხურვალედ განიხილეს ეს მისალმება. დახურვის დღესასწაულზე წაიკითხეს საბჭოთა სპორტის მეწინავეთა სამადლობელი სიტყვებით აღსავსე წერილი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთავარი გარდამავალი პრიზი სპარტაკიადაზე გუნდური გამარჯვებისათვის დამსწრეთა ტაშის გრიალში გადაეცა რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს. ეს გუნდი ზედიზედ მესამე სპარტაკიადაა, რაც პირველ ადგილს იკავებს! მეორე-მეხუთე ადგილები საერთო გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს შესაბამისად უკრაინის, მოსკოვის, ბელორუსიისა და ლენინგრადის ნაკრებმა გუნდებმა. ჯილდოები სპარტაკიადის გამარჯვებულებს გადასცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პ. პავლოვმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოებისათვის მიიპოვეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა.

იმ მოკაჟშორე რესპუბლიკის კოლექტივისათვის გათვალისწინებული საკავშირო პროფსაბჭოს აპატიო პრიზი, რომლის შემადგენლობაში ყველაზე მეტი სოფლის სპორტსმენია, გადაეცა რუსეთის სფსრ გუნდს.

პრიზი „უმაღლესი სპორტული ოსტატობისათვის“ დაჯილდოდა ყაზახეთის ნაკრები.

„პროგრესის“ პრიზი გადაეცათ უზბეკეთისა და სომხეთის გუნდებს. მათ ყველაზე მეტი ჩარმატება მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადასთან შედარებით და საერთო გუნდურ ჩათვლაში ორი ადგილით მაღლა აიწიეს.

„ოლიმპიური იმედის“ პრიზი გადაეცა საქართველოს სს რესპუბლიკის კოლექტივს.

პრიზი „რეკორდული შედეგებისათვის“ მიენიჭა გუნდს, ვისმა სპორტსმენებმაც ყველაზე მეტი შესწორება შეიტანეს რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობათა დროს. ეს ჯილდო დაიმსახურეს რუსეთის სფსრ ნაკრების სპორტსმენებმა.

ლუნინგში უკანასკნელად ეღერს სსრ კავშირის ხალხთა მე-7 საზაფხულო სპარტაკიადის ფინფარების ხმები. იწყება სპარტაკიადის დახურვისადმი მიძღვნილი პარადი...

ყოველ დღესასწაულს თავისი განსაკუთრებული შთამბეჭდავი წუთი აქვს, სადღესასწაულო დახურვაზე კი იყო ნორჩი ფიზკულტურელებისათვის — საკავშირო ბავშვთა სპორტული ასპარეზობის „იმედის სტარტების“ შონაწილეებისათვის „ცეცხლის ესტაფეტის“ გადაცემის წუთი. სპარტაკიადის ჩემპიონმა ცურვაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლარისა ცარიოვამ — სპარტაკიადის ცეცხლთან აანთო ჩირაღდანი და იგი ნორჩ სპორტსმენებს ეანა ტიმოხოვიჩსა და გენადი კუზნეცოვს — დედაქალაქის კიევის რაიონის 75-ე სკოლის მოსწავლეებს გადასცა. ეს ცეცხლი იგიზგიზებს არტეკში სპორტულ ასპარეზობათა დროს.

სპარტაკიადის აღსანიშნავად შეიდჯერ დაიქუხა სალუტმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმებში ნელ-ნელა უშვება ფლაგშტოკზე სპარტაკიადის ალამი. ქრება მისი ცეცხლი, მაგრამ მისი ნაწილი უღვივის გულში შეჯიბრების ყველა მონაწილეს, იმათ, ვინც ტრიბუნებზე ქომაგობდა. ოლიმპიური ელვარება გადაპკრავს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გმირთა მედლებს და, ვეთხოვებით რამ მას, ვამბობთ: „მალე შეხვედრამდე, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადამ!“. (საკადესის კორ.).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ხალხთა ზაფხულის მეშვიდე სპარტაკიადიდან ბოლო რეპორტაჟს ძიუდოისტთა ასპარეზობის დასკვნითს შეხვედრებზე საუბრით დავიწყებთ. ამ დღეს ათლეტები ძალებს ცდიდნენ 60 კგ-მდე წონაში და აბსოლუტურ კატეგორიაში. 60 კგ წონის ძიუდოისტთა შორის საქართველოს სპორტსმენმა დ. გელიაშვილმა პირველი ორთაბრძოლა ლენინგრადელ ვლ. კიუელინენთან წააგო და გუნდს ჩასათვლელი ქულები ვერ მოუტანა. სამაგიეროდ გაგვახარა თ. ხუბულურმა, რომელსაც აბსოლუტურ კატეგორიაში ტოლი ვერავინ დაუდო, მოიგო სასპარტაკიადო ტურნირი და პარალელურ ტურნირებში გამარჯვებულებთანაც წარმატებას მიაღწია. ამრიგად, ხუბულურმა სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ამ წარმატების გზაზე მან ხუთი შეხვედრა მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება ისეთ ძლიერ და სახელმოხვეჭილ ძიუდოისტთან, როგორიც ს. ნოვიკოვია. ჩვენი ქვეყნის ორი საუკეთესო ათლეტის ამ ორთაბრძოლაში ვერც ერთმა ვერ მიაღწია აშკარა უპირატესობას, მაგრამ ხუბულურმა სწორი ტაქტიკური გეგმა აირჩია, მეტოქეზე აქტიური იყო და ცხადია გამარჯვებაც მას დარჩა.

ხუბულური ის სპორტსმენი გახლდათ, რომელმაც საქართველოს სპორტულ დელეგაციას სპარტაკიადის რიგით მეთერთმეტე და უკანასკნელი ოქროს მედალი მოუტანა. სახეგაბრწყინებულმა სპორტსმენმა ასპარეზობის შემდეგ თქვა: **„ჩემთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჩვენი სპორტული დელეგაციისათვის რაც შეიძლება მეტი ქულა მომეტანა და ამით ერთგვარად გამენელებინა ის უსიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენი ძიუდოისტების არცთუ წარმატებულმა გამოსვლამ შეუქმნა ჩვენს ქომაგებს...“** სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ძიუდოს ერთმა იაპონელმა სპეციალისტმა კითხვაზე, მოსკოვის ოლიმპიადაზე თქვენი ყველაზე საშიში მეტოქე ვინ იქნებაო — მოკლედ მოუჭრა: ხუბულური...

ეს კარგია, მაგრამ საქართველოს ძიუდოისტებისაგან მაინც მეტს ველოდით. მათ ვერ გამოავლინეს ის მებრძოლური თვისებები, რითაც წინა სპარტაკიადაზე გამოირჩეოდნენ. თვით იმის გახსენებაც, რომ 4 წლის წინათ ჩვენმა ძიუდოისტებმა სპარტაკიადაზე გუნდური პირველობა მოიპოვეს, ახლა კი მხოლოდ მეექვსე ადგილს (108 ქულა) დასჯერდნენ, დაგვეთანხმებით, სასიამოვნო ფიქრებს ვერ აღგვძრავს: საქართველოს ძიუდოისტთა რაზმში მეგობრული ურთიერთობა სარბიელზე ეჭიდებიან ერთმანეთს, ოღონდ ეს ეჭიდაობა ზოგჯერ ისეთ ფორმებს იღებს, რომ ეს ეჭიდაობა ეჭიდაობად ნაკლებ, ბოქსად, ან ფეხბურთად მეტად ეფერებოდეს. ეს ფორმა ეკუთვნის ბ. ბოროდინს, ეს ფორმა ეკუთვნის ბ. ბოროდინს, ეს ფორმა ეკუთვნის ბ. ბოროდინს,